ქეთი ბერეშვილი

მე ვერ ავანთე ქვეყნის სამკვირი

ქეთი ბეროშვილი

მე ვერ ავანთე ქვეყნის სამკერდი

გამომცემლობა „ლომისი“
თბილისი
2014

რედაქტორი	**ვალერიან მამუკელაშვილი**
დამკაბადონებელი	**თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-0-6366-4

ჩემო დიდო სიხარულო

ჩემო დიდო სიხარულო, ჭირთა ტკბილო მალამო,
მრავლის მთქმელო, იდღეგრძელე, ქართვლის დიდო ალამო...
უკვდავების კარიბჭესთან დაჩოქილი ავალო,
იდღეგრძელე, საქართველოვ, შოთას დიდო კალამო...

შენი დროშა, ფერნათელო, წინ-წინ მიექანება,
სიკისკისე სიყვარულის არ ელევა შენიანს,
ნირი ვეღარ შეგვიცვალონ მოარულმა ქარებმა,
გვეყო, რაც შენს ბედ-იღბალზე ცრემლი უხვად გვდენია.
მზე გვირგვინად დაეხურა საქართველოს მიწა-წყალს,
სურს, სხივებით მის მთა-გორებს თბილად მიესალამოს;
შენს მიწაზე ვხეტიალობ, ფიქრით ვზომავ კაბადონს,
იდღეგრძელე, საქართველოვ, უკვდავების მალამოვ!..

1987 წელი.

მძიმე ჭაპანი

რად დაღვრემილხარ ბერიკაცო?! ახალს რას იტყვი?
წუთებს და წამებს შრომისათვის თითებზე ითვლი;

შენ ხარ ღვთაება, შენი ფასი ვერსად ვერ ვნახე,
შენ საქართველოს მიწა-წყალის ხარ მევენახე.

სიტკბოებაში, სიხარულში დათვერი იმ წამს,
როს საოცარი სიყვარულით დასცქერი მიწას.

დაკოჟრილ ხელით უალერსებ ოქროსფერ მტევნებს,
პირმომღიმარი გადმოსცქერი პირსავსე ქვევრებს.

ეი, გლეხ-კაცო, ბედნიერო, სულით მზიანო,
შენს ნაკვალევზე უფიქრელად უნდა ვიარო,

უნდა გავწიო, შენებურად, მძიმე ჭაპანი,
ვაღმერთო მიწა, შენი წმინდა ოფლით ნაბანი...

1987 წელი.

სოფლის გვირგვინი

ანი-ბანი, ანი-ბანი, ახლა უკვე დიდი ვარ,
საქართველოს საალერსოდ ხელგაშლილი მივდივარ.

ჩვენი მიწა მოვიარე, იმერი და ამერი,
გადავლახე ცხრა უდაბნო, ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა ველი.

ვერსად ვნახე მე სხვა მხარე, გაჭიმული სერებით,
ვერსად ვნახე სხვა კახეთი — ქარვისფერი მტევნებით.

ჩვენი სოფლის აშენების გვირგვინია, გვირგვინი
გამრჯე კაცის მარჯვენა და მადლიანი ღიმილი.

თქვენ სამშობლო მოგიხმობდათ, მისი მთა და ველები,
ქართულ მიწას ვემთხვევი და მის ქედს შემოვევლები.

დაილოცოს ჩვენი გზები, თქვენი გზები ნათელი,
მამულისთვის, მომავლისთვის ანთებული ქართველი.

1987 წელი.

***

რეკავს სამრეკლო ბედნიერების, —
სულის ჩამდგმელი უბედურების,
მე ვერ ავანთე რწმენის ლამპარი,
გამნათებელი ჩვენი გულების...

იმედად ვპოვე ქართული მიწა,
შენი დიდება — ხანძთა, ვარძია,
ოშკი, ხახული, ბანა, ტანძია, —
ეს უკვდავების დიდი განძია...

სულის კვეთებას რა აქვს მიზანი?!
სამშობლოს ბედი მალე ვიცანი.

დღეს სამყაროა მშვიდობის კარი,
მაგრამ, ერთია ჭირის საფარი.

ცა მოიქუფრა, დრტვინვა გაისმა,
მთები დაბინდა მერე დაისმა;

ჩვენი ზეობა უფსკრულს დავიდა,
ერის ღირსება საით წავიდა?!.

ფოთოლი

შემოდგომის დროს ხეებს
სევდით უთვლიან დღეებს...

შორს, ჰორიზონტზე ვნახავთ
ვის რა დარდები ახლავს...

მკვდრის ფერი ადევს ფოთოლს,
სულით მარტოს და ობოლს...

და გული ისე უცემს,
მართლაც, წუხილით უძგერს...

დაბლა მოწყვეტით გდია,
ფერი გადაჰკრავს ღია,

მთელი წლის სევდა ახლავს
და მას ფოთოლი ჰქვია...

1997 წელი.

ზამთრის ძახილი

ზამთარი საოცრებაა, ბუნების გაოცებაა,
ფიქრები გრძნობის ამშლელი —
ჩვენთვის უსაზღვრო მცნებაა.
ცაო! კრძალვით გთხოვ, ფიფქების გადმოგვაყარე ნაქარი,
არ დაგავიწყდეს ოღონდაც, ადამის მოდგმა აქ არი...
ციცქნა სამეფო შემოგთხოვს, ქართველ ერს ფიფქი გვაფრქვიო,
ცისა და მიწის შვილები თეთრ სამოსელში გაგხვიო...
გავყურებ საქართველოს მთებს ლოცვად შემდგარი ცერებზე,
თავდადრეკილი მივაპობ ქარს წამოფაფრულს სერებზე...
თვით უფლის სცენა მგონია, ისეა მიწა გამთბარი,
ცაო! შენც შემოგვეშველე, ზამთარი გვინდა, ზამთარი.

1987 წელი.

***

ოქრო და ვერცხლი თასებით გადმომაყარეს თავზე,
ბრილიანტი და ბაჯაღლო დამიგეს სავალ გზაზე,

შევხედე, შევცბი, შევწუხდი რა ხდება დედამიწაზე?
ფარჩა-ფურჩებში ჩაფლული ყველა ოცნებობს მიზანზე...

მთელი ცხოვრების მანძილზე ზოგი ჩალასაც აფასებს,
ზოგიც კეკლუცად მოითვლის ასიანებს და ათასებს...

მე სუყველაფერს ვუარყოფ, ასეთი არის ეპოქა!
ცხოვრების ავლა-დიდებად მე სიყვარულიც მეყოფა...

1991 წელი.

მოდის ახალი წელი

ინათა, მოდის ახალი წელი,
ჩემი სამშობლო იმედით ელის...

იქნებ მოგვხვიოს კეთილი ხელი
და დაგვაფრქვიოს წყალობა მრევლის...

შორს გადავფანტოთ ეგ, ქუფრი ნისლი,
ამ წელს მრავალი აკვანი ირწეს,
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი
ბედნიერების კერიად იქცეს.

ავწიოთ ხელით დიდი ფიალა,
დავლოცოთ ჭერი, ერი მთლიანად...
აკვანში მწოლი თვალებბდღვრიალა,
რომ ჰქონებოდეს ზეცა კრიალა...

ინათა, მოდის ახალი წელი,
ჩემი სამშობლო იმედით ელის;

დიდება შენდა, ახალო წელო,
დიდება შენდა, სიკეთით გევლოს!

1989 წელი.

რიმა ბერიძეს

შენ ქალი არ ხარ,
შენ ღვთიური ანგელოზი ხარ...
მაგ წმინდა გულში ჩატეულა
მთელი სამყარო!..
ვით სისხლის წვეთი,
ისე წვეთავს სითბო ულევი
და არცერთ მოკვდავს არა სტოვებ, —
ათბობ გაყინულს და იმედს აძლევ, —
კვლავ, უხანგრძლივებ ამ სამყაროში
ცხოვრების სურვილს
და ხელჩაქნეულს კვლავ მომავლის
რწმენას უღვივებ...
შენ ანგელოზად დაბადებულხარ
და იდღეგრძელე, იდღეგრძელე, ღვთიურო ქალო!..

2013 წელი

ჩემო საქართველო

ჩემო სანაქებო, ჩემო სანატრელო,
ჩემო საყვარელო, დედა საქართველო...

არასდროს მენახოს სისხლი შენს ბაგეზე,
ყოველთვის იმედით და რწმენით დაგეძებ...

სად არის ძმობილი, სად არის დობილი?
გაგვიპეს ისედაც გული გაპობილი...

ასე ვინ გაგვწირა, ვინ ჩაგვცა მახვილი?
„ჰკა მაგას“, „ჯვარს აცუ“ — ყოველდღე ძახილით...

ჩვენ ვერვინ გაგვთელავს, არა ვართ ჯაბანი,
მაინც გაიმარჯვებს ფუძე-სვე მაგარი...

მტერთან საბრძოველად ავისხათ აბჯარი,
ჩვენ ვერ მოგვერევა მომხდური — აფთარი...

თუმცა ძნელი არის გაუძლო ქარტეხილს,
გულს ვერ შეგაერთებთ ათასგზის გატეხილს...

ო, არ შეიხარო წარბი, ჭირს გაუძელ,
მომხდურს არ შეგატოვებთ არასდროს დაუცველს...

ჩემო სანაქებო, ჩემო სანატრელო,
ჩემო საყვარელო, დედა საქართველო.

1989 წელი.

დედა ენავ!

ანი-ბანი, ანი-ბანი,
შეგვასწავლა დედა ენა, —
შენ, ნაქარგო ოქროს ფუნჯით,
ჩვენო განძო, ჩვენო რწმენავ!

ვინ არ არის ბედნიერი?!
ზარდე ქვეყნად ბურჯზე, ბურჯი,
საქართველოს მრავალ მომხდურს
შენი მადლით გადავურჩით!..

1986 წელი.

***

შენ გყვარებია თურმე სხვა გოგო,
იპოვე მასთან სიტკბო ულევი...
იპოვე ყველა ღირსება ქალის, —
ბედნიერება დაუსრულები...

შენ გყვარებია თურმე სხვა გოგო,
იპოვე მასთან სითბო ულევი...
მე ვერ მოვასწარ, დამაგვიანდა,
სანთლებს უშენოდ ვეჩურჩულები...

1991 წელი.

***

თვალები? თვალებსაც გააჩნია,
თვალებმაც იციან ალერსი ფარული,
ძნელად ასატანი დუმილიც იციან
და გასაოცარი სიყვარულიც...

1989 წელი.

***

ჩემი ოცნება, იცი, რა არის?
შენს გვერდით ღამე მათენებინა...
რომ ეგ სხეული, ჩემო ძვირფასო,
ამ დიდი გრძნობით მაფერებინა...

1990 წელი.

***

მზეჭაბუკი ხარ? არა, კიდევ უკეთესი ხარ,
უკეთესი ხარ, უკეთესი სულის პატრონი,
ვიცი, რომ ყველას, ყველას უხდი სამაგიეროს,
მაგრამ მე მჯერა, ძლიერ მჯერა, ვერ გადამიხდი,
ვერ გადამიხდი სიყვარულში სამაგიეროს...

1991 წელი.

***

ო, როგორ მინდა, შენს მკლავებში მიძინებულმა
დილის რიჟრაჟში ისევ შენთან გამოვიღვიძო,
რომ სამუდამოდ ვკოცნო შენს თვალებს,
ო, რომ შემეძლოს, საუკუნედ ვაქცევდი წამებს...

1990 წელი.

***

არ მინდა, ვწერო დღეს პოემები,
და გავიხსენო კვლავ პრობლემები...

არც უსასრულო გრძელი სიტყვები,
მე ჩემი გულის ძახილს მივყვები.

მინდა, რომ ჩუმად გითხრათ სათქმელი,
კრძალვით გაგიღოთ სულის სარკმელი...

გავავსო ყველას გული სითბოთი,
კრძალვით, სინაზით, ულევ სიტკბოთი...

რომ ჩემი სიტყვა სჯობდეს პოემებს,
არც გავეჯიბრო ჩვენს დიდ პოეტებს...

მე მინდა, ვიყო სულის მალამო,
შენ ძალგიძს ეს ჰქნა, ჩემო კალამო...

2012 წელი.

ციფრი ლეგენდა

შემოპარულა ორმოცი წელი,
გამომიწოდა სიბერემ ხელი;
მეგონა ეს გზა უზომოდ გრძელი,
ვერ მივაღწევდი ჩანჩალით ნელით...

ჩემთვის ეს ციფრი იყო ლეგენდა,
თითქოს ცხოვრება წამით შეჩერდა...

აფორიაქდა უაზროდ სული,
მაინც შემომრჩა ბავშვური გული...

ორმოცი მხოლოდ ციფრი ყოფილა,
ბევრჯერ გამაწნა ცხოვრებამ სილა, —
და გამითენა სიბერის დილა, —
დღეს ჩემს გარშემო მზეა და თბილა...

მე ეს დღეები იმედით მავსებს,
კვლავაც მივდივარ ცხოვრების გზაზე...

2012 წელი.

გამოსათხოვარი

ვუძღვნი ჩემი ბიძაშვილის,
გია ბეროშვილის ხსოვნას

თავსხმა... ტალახი... მწარე მოთქმა:
— საით მიდიხარ დაღვრემილი, ჩემო ძამიკო?
სად არის შენი სასუფეველი?..
მე არ გაგიშვებ...
კვამლიანია ეკლესია სანთლების ფენით...
გათხარეს მიწა სამარისათვის,
მორწყეს ცრემლებით...
მაგრამ ჩვენ ასე ვერ გაგიშვებთ,
ჩვენ ხომ ხუთნი ვართ, —
ოთხი და და ერთი ძამიკო,
კვლავ ჩაგიყენებთ ჩვენ შუაში და ვივლით ასე, —
დაიკეტება ჩვენი ჭიშკარი მილიონ წლებით...
შენი მშობლები შეიბრალე, ჩემო ძამია,
ნუ დაუმძიმებ შენს პატარა ბიჭუნას სახელს,
ნუ ათქმევინებ, ობოლია, მამა არა ჰყავს...
დედის მოთქმაა დაღვრილ ცრემლთა მდუმარებაში,
კვლავ ტალახია, ხალხი იწვის მწუხარებისგან;
მაინც გაგვწირა ჩვენმა გიამ ოთხი დაიკო
და უფრო თავსხმად გამძვინვარდა ჭექა-ქუხილიც
და ასე დავრჩით ოთხივენი ატირებულნი...

1986 წელი.

დედას

გრძელი დღეები ჩვენ შეგვალიე,
გულის სიღრმეში სითბო მეღვრება,
ეს სიყვარული შენ შემასწავლე,
ბავშვივით ჩვილი გული გამომყვა.
დედავ ძვირფასო! ჩემო აღმზრდელო,
მასწავლებელო, სულის ჩამდგმელო...
ვინ მოსთვლის დღეებს უძილობისას,
ვინ მოსთვლის ცრემლთა, მარგალიტებრთა?
დიდო იმედო, დიდო ერემო,
ქალო ქართველო, ქართველო დედა,
ამაგი შენი ვინ დააფასოს?
სიტყვა ქართული გაატოლფასოს...
აშარი ქარი თმებს აგიჩეჩავს,
მოვალ, ბავშვურად მოგეფერები
და ის ვიქნები შენ რომ გწადია...
გულს გაგიმთელებ, მუხლს გაგიმაგრებ
და მოგანიჭებ ბედნიერებას.
დედავ, იყავი ქვეყნად დღეგრძელი,
კიდევ მასწავლე შეუსწავლელი,
კვლავ ეგ თვალები შემომაფეთე,
რომ შენს თვალებში ამოვიკითხო
გრძნობა ულევი, ქვეყნის დიდების.

1988 წელი.

***

ახალი წელია, ახალი წელია
და ღია ცის კიდურს ათოვს.
ოხ, რა კარგია, შენ რომ მეგულები
და შენთან შეხვედრას ვნატრობ...

ვარდების ფენა, ცის მთოველი,
ნატვრა,
ოცნება;
უბრკოლველად
ახდეს ყოველი...

1992 წელი.

***

ქარი დაბერავს, გაძარცვავს ხეებს,
წლები მალულად განდევნის დღეებს...

შევეგებები კვლავ დილის აისს,
მოულოდნელად — სიბერის მაისს...

სახის ნაკვთები დაიღარება,
მრავალი ციხე დაიბზარება...

სიხარულით და იმედით სავსე
ვეღარ გავივლი ბავშვობის გზაზე...

1988 წელი.

დედას

ადამიანი „აღუს“ შემდეგ
წარმოსთქვავს „დედას“...

დედა, რომელიც ჩვენს მოვლაში ჭაღარავდება
და ყოველ ღამე ჩვენზე ფიქრში ძალა ელევა
და ყოველ დილა ჩვენს ზრუნვაში ბინდი ერევა.
დედის თვალებში მუდამ ვხედავ სითბოს, სიყვარულს,
მისი თვალები მუდამ ჩემში ახალს აღვიძებს...
რომ ახლით გავყვეთ ჩვენ ცხოვრების ფართო ხეივანს,
ამას ღაღადებს დედის გული, დედის თვალები.

1988 წელი.

***

დედაო მიწავ,
განძარცულო და მოწყენილო,
გაჟღენთილო წვიმებისაგან;
გადავიღალე ხალხთა ბრბოში გამორეული...
წიფლიდან შენში გადმოვედი
სვენებ-სვენებით და ახლა მხოლოდ
მარტოდ-მარტო შენ გეფერები...
შენ დაათბუნე სამუდამოდ
შვილის სხეული,
ქარბუქიდან დაბრუნებული,
დედავ მშობელო, დედაო მიწავ...

1992 წელი.

***

დიდი მადლობა იმ წუთებისთვის,
ბედნიერების მწვერვალებისთვის,
მოგონებებით ვიცხოვრებ ახლა,
სანამ წამლეკავს სიკვდილის ტალღა...

1990 წელი.

***

ოხ, რა ძნელია, როდესაც
ვერ გაგიგებენ ბოლომდე
და შენს ფიქრებთან დარჩები
ისევ და ისევ მხოლოდ შენ...

1996 წელი.

***

ღმერთო ჩემო, რად დამბადე?
რად მიბოძე დარდის ბადე?
რად მატარებ სევდით სავსეს?
ო, გთხოვ მომეც მოთმინება,
დამაყენე მე სწორე გზაზე...

1996 წელი.

***

როდემდე ვიყო ოცნებებთან მიუწვდომელი,
ბედნიერება იყოს ჩემთვის მიუღწეველი...
ჩუმად ქირქილებს ამ ცხოვრების მესაიდუმლე:
— აბა, მოსინჯე, მაგ ჯიბეში თუ არის გროში?
მაშინ იქნები ბედნიერი აი, ამ დროში...

1996 წელი.

***

ჩემი ოცნების უფლისწულო, დაიგვიანე,
მე ხომ ცხოვრება თითქმის უკვე შემოვიარე,
უსიყვარულოდ გადავფურცლე დღეები, წლები,
უმისამართოდ გადავტკეპნე ულევი გზები...

ახლა აღმოვჩნდი მე ცხოვრების ლაბირინთებში,
არ ვიცი, საით დავეშვები და რომელ მთებში,
ან და იქნება საერთოდაც არ არის გვიან,
მე უსასრულო ფიქრები და დღეები მღლიან...

1990 წელი.

ილიას

სამას მილიონ ქართველთა შორის,
მხოლოდ შენა ხარ ჩემთვის რჩეული, —
სამას მილიონ რჩეულთა შორის
მაგ თავგანწირვით გამორჩეული...

ალბათ, იმიტომ, მარტო შენა ხარ
თავდადებული გმირების სწორი,
მარტო შენა ხარ, მარტო შენა ხარ
სამას მილიონ ქართველთა შორის...

1996 წელი.

***

კაცობრიობის ცხოვრებაში ბევრია რწმენა,
ზოგის მრწამსია ამ ყოფაში მარტო მოთმენა...
ზოგი კი მტკიცედ ემიჯნება სატანჯველ რწმენას,
მაინც განაგრძობს ბურუსებში ღვთაებრივ ფრენას...

ამ ცხოვრებაში ერთხელ ჩნდები და ერთხელ კვდები
და სივრცეების დასაპყრობად გჭირდება ფრთები...

მიდი, მისდიე ხელმიუწვდომ ბედის ვარსკვლავებს,
ქართველთა რწმენით, სასოებით განვლილ ნაკვალევს...

1996 წელი.

***

შემომთავაზეთ ერთი სავსე ყანწით სასმელი,
რომ აღარ დამრჩეს გულს დარდები ამოსათქმელი...

უნდა დავლიო, უნდა ვიყო დღედაღამ მთვრალი,
რომ არ მეწოდოს ლაჩარი და უზომოდ მხდალი...

უნდა დავლიო, ამ დალევას ამოვაყოლო
ეს დარდები და უგზოუკვლოდ ქარს გავაყოლო.
შემივსეთ ჭიქა, გევედრებით, ნუ დააყოვნებთ,
ბობოქარ დარდებს სიკვდილამდე ნუ გამაყოლებთ...

1996 წელი.

***

ო, როგორ მინდა, ვიყო რჩეული
და ყველასაგან გამორჩეული, —
გრძნეულთა შორის უფრო გრძნეული...
ისე სიცოცხლეს რა აზრი აქვს
თუ არ გაქვს რწმენა?
თუ ვერ შესძელი თვალუწვდენელ
სივრცეში ფრენა...

1996 წელი.

***

მე არ ვარ მთვრალი,
არც უაზრო ვნების დობილი,
მე არ ვარ გიჟი, —
არც სიგიჟის კარს მიდგომილი...
მე ვარ ის ქალი, ვის ოცნება შემორჩენია,
ვინც სიყვარულით სამუდამოდ არის პყრობილი...

1996 წელი.

***

მივდევ ცხოვრების დინებას, —
ოცნების გამობრწყინებას...
წლები წამებში ქრებიან,
შორს მყინვარები დნებიან...
მე თვალხილული მივდივარ,
მგონია, უკვე დიდი ვარ...
წინ დაუგიათ მახენი,
ძნელია, ჰპოვო სახელი!..

1997 წელი.

ილიას

მე ვერ ავაწყე ჩემი ცხოვრება,
უთქმელი მრჩება ბევრი ოცნება...
მე ვერ მოგეცი ის დიდი გრძნობა,
რომელიც უნდა მუდმივად გწამდეს,
ჩვენ გაგვიჭირდა, ვერ მივაღწიეთ
იმ სიყვარულის წმინდა ტაძრამდე...

1996 წელი.

***

მინდა, დავწერო, რაც ჯერ არსად არა წერია,
მინდა, დავწერო, რაც არავის დაუწერია,
მინდა, ვიტირო და ამ ცრემლებს ამოვაყოლო
ამ სიყვარულის ტანჯვის განცდა, მწარე ფიქრები...

მინდა, რომ მხოლოდ ჩემი გერქვას, ჩემო სიცოცხლევ,
მინდა, რომ შენთან გავატარო ჩემი სიცოცხლე,

მაგრამ ცხოვრება უსამართლო რამე ყოფილა,
უნდა ვიტანჯო შენგან უკვე უარყოფილმა,
თურმე ცხოვრება შენს გარეშე მხოლოდ დარდია,
ამაზე დიდი სადარდელი არ მაბადია...

1990 წელი.

***

დღესაც მოთმენა, ხვალაც მოთმენა,
როდისღა შევძლო,
უკიდეგანო ცის კალთებზე ლაღად აფრენა?
ლაღად აფრენა იმ ციური მნათობისაკენ
და ამ ოცნებებს ზღვარი როდის შემოვუფარგლო?
დღესაც მოთმენა, ხვალაც მოთმენა,
კარგით, მოვითმენ და ამ ფურცლებს
თავს შემოვახვევ
ამ ჩემს ფიქრთა თვალუწვდენელ,
მაღალ ოცნებებს...

1996 წელი.

***

თუ ცოდვა მაქვს, მაპატიე ღმერთო,
ცოდვილთ შემწევ, ქვეყნად ერთადერთო...
ნუ გამრიყავ, მოთმინება მომეც,
დავიმოყვროთ მტერიცა და მოძმეც...
ამოდენა დარდი მაწევს, რატომ?
ნუ დამტოვებთ, ნუ დამტოვებთ მარტო.
თუ ცოდვა მაქვს, მაპატიე ღმერთო,
ცოდვილთ შემწევ, ქვეყნად ერთადერთო...

1997 წელი.

ჩემს უახლოეს მეგობარს

დიდი სიყვარულით ციცინო ჯანგირაშვილს

შენ, ჩემი გული დაიპყარ, დაო, —
ზარზმა და ოშკი, ხანძთა და ტაო;
სულ შენთვის მინდა ეს საქართველო, —
სამეგობრო და სანათესაო...
სულ შენთვის მინდა ყველა სიკეთე,
ეს სილაჟვარდე და სილამაზე,
დაგლოცავ, დაო, აგსრულებოდეს,
რასაც ინატრებ ცხოვრების გზაზე...

1996 წელი.

დაგლოცავთ, მოქეიფენო

დაასხით ღვინო, უნდა დავლოცო ქართული სუფრის ლაზათი.
დაასხით ღვინო, შევინარჩუნოთ ქართული წესი, ადათი.

ჩვენი გაგება დავლოცოთ, ჩვენი მეობა დავლოცოთ,
დავლოცოთ მამაპაპანი და მათი სიტყვა ვაცოცხლოთ...

ვაცოცხლოთ გარდასული დღე, ბობოქარ ჟამთა ტრიალი,
არ მოვიშალოთ არცერთმა დროსტარება და გრიალი...

რაა ცხოვრება?! სულ ციდა, მიუწვდომელი, ნანატრი
და ამ ცხოვრების ასეულს ოქროსფერ ზღაპრებს წავადრი.

დაგლოცავთ, მოქეიფენო, ქართული კდემამოსილითა,
ყოველთვის მისაბაძებო, ვაჟკაცობით და ძმობითა.

1997 წელი.

წვიმა

მოდის წვიმა მძივებივით ასხმული
და ხეებზე უცნაურად აცმული...

მოდის წვიმა, რაღაც ამბებს გვიყვება
და დროებაც სადღაც შორეთს მიჰყვება...

მოდის წვიმა, ღმერთის მესაიდუმლე
და შენ, ქარო, ნეტავ რად გაიღმუვლე?

რას ვუყვებით ჩვენსა დიდსა მეუფეს?!
რა პასუხს ვცემთ, ჩვენს გამჩენს და მეუფლეს?!

მოდის წვიმა მძივებივით ასხმული
და ხეებზე უცნაურად აცმული...

1997 წელი.

***

ჩემი კალამი რას ქადაგებს, ვისთვის რას იტყვის?!
ზოგი სათქმელი არ ითქმება, ზოგი კი ითქმის...

იქნებ ზოგს ტუჩზე დამცინავი ღიმილი უთრთის,
იქნებ ზოგს თვალზე მგძნობიარე ცრემლებიც უკრთის...

დაე, ცხოვრებამ შეაფასოს ჩემი ქმნილება,
უმანკო სულის ის პირველი შთაბეჭდილება...

ჩემი კალამი რას ქადაგებს, ვისთვის რას იტყვის,
თვის ადგილს ეძებს, თვის გამგონეს, საქმით და სიტყვით...

1997 წელი.

***

ეკლესიაში შევალ, სანთლებს ავანთებ
და ჩემი გულის დარდებს ხატებს გავანდებ...
სანთლებს ჩამოწვეთავს ცხელი ცრემლები
და ტანს წამომაყრის ცივ-ცივი ეკლები...

სანთლებო, შეისმინეთ ეს ჩუმი ვედრება,
ღმერთებო, გამიგეთ, გულს დარდი მეყრება...
დამლოცეთ, გამინათეთ სულის იარები
და შემომიფანტეთ დარდის წყვდიადები.

1997 წელი.

***

რაო, რა გინდა, ტარტაროზო, რას მემართლები?!
რატომ ხითხითებ? რას მიპირებ? რად მემალები?
ალბათ ფიქრობ, რომ დამჯაბნი, მიმასამარებ,
მაგრამ მოსტყუვდი, რას ხითხითებ, თქვი, ტარტაროზო...
ჩამომეცალე, დამეკარგე, შენ ავგაროზო,
მე უნდა შევქმნა ის, რაც მუდამ მემახსოვრება,
რომ საუკუნოდ დავიმკვიდრო მშვიდი ცხოვრება...

1997 წელი.

***

ამბობენ, დღეს ყოველი მეორე წერს
ლექსებს და მოთხრობებს აძლევენ ფერს...
ბევრი სიტყვას ებრძვის და აწყობს, ვით ბურო,
ბევრიც არაფერს წერს და არაფერს კითხულობს...

2012 წელი.

***

ო, როგორ მინდა, სიყვარული ყველას გვეწვიოს
და ბოროტება სიყვარულად გადაგვექციოს...

ო, როგორ მინდა, წმინდა გრძნობა გვქონდეს უბიწო,
მაგრამ ბევრი ვართ სიყვარულში მართლა უნიჭო...

1997 წელი.

***

როგორ მინდა, თვალი რომ გავახილო,
ოცნებები ახდენილი ვიხილო,
არსად გაქრეს ეს ლამაზი ზღაპარი,
არ ჩაგვიქრეს ისევ ბედის ლამპარი...

2012 წელი.

***

ბედის კაროსელი თავისით ტრიალებს,
შენ ვერ შეეხები მის წვრილმან წიაღებს...

უფალს კი რაც ნებავს, ის მაინც მოხდება,
ვინც განწირულია, ის მაინც მოკვდება...

შენ ვინ გეკითხება, რას გრძნობ, რას განიცდი,
თუ ბედისწერა გაქვს, იქ მაინც გაივლი...

თუ ბედისწერა გაქვს, ვარსკვლავებს დაითვლი,
რაც დასანთქმელია, უკუნში დაინთქმის...

ეს თუ უფალს ნებავს, ეს თუ გათვლილია,
ჩვენი სიცოცხლეც ხომ მისგან დათვლილია.

2007 წელი.

ფურცლებს ვესაუბრები

მარტო ვზივარ და საიდუმლოს ვაბარებ ფურცლებს,
აბობოქრებულ დარდებს კიდევ გავატან ღრუბლებს.

ღრუბლებს, რომლებიც უფრო მეტად მიმძლავრებს სევდას
და მთელ ქვეყანას იდუმალი სიმართლით ხედავს...

მივალ, ავიღებ ამ ჩემს კალამს, ფურცლებს დავხედავ
და წარსულისკენ კვლავ გახედვას ჩუმად გავბედავ...

დავწერ ისე რომ არ ერგუნოს ტკივილი არვის,
რომ სილამაზით ყოფილიყოს სადარი ქარვის...

ეს ფურცლებია, რომ მიხმობენ ისევ მალ-მალე,
ამ ფურცლებს მიღმა უამრავი სევდა ჩავმალე...

1997 წელი.

ღმერთების დედა

მინდა, დავლოცო სიყვარული, ღმერთების დედა,
მიუწვდომელი, უხილავი, ჩვენს თავთა ზედა.

ზოგჯერ მწუხარე, სიამაყით აღვსილი გული,
სიყვარულისგან აღვსებული მდიდარი სული.

მინდა, დავლოცო სიყვარული ყოვლად ძლიერი
და გრძნობისაგან მოვლენილი ჩვენი იერი.

მინდა, რომ ყველა, ყველა ფლობდეს დიდებულ ძალას,
აფრიალებდეს სიყვარულის ღვთაებრივ ალამს.

მაშ სიყვარული დაგვიფარავს ყველგან, ყოველთვის,
გადასარჩენად წმინდანების ძალა მოელტვის...

მაშ გაუმარჯოს, გაუმარჯოს სიყვარულს უძლევს,
დაგბედებოდეთ და გისურვებთ სიხარულს ულევს...

1997 წელი.

გაქრა ნათელი

ჩამოიღვენთა, ჩამოიწვა ჩემს წინ სანთელი,
სიბნელემ შთანთქა, წარიტაცა ირგვლივ ნათელი...

რაღას ველოდო? ვინ გამითბობს ამ გულს გაყინულს?!
ანდა ამ ფიქრებს ვინ აღმიდგენს, სადღაც მინავლულს.

რად დავიბადე თუ ამდენი უნდა მეწამა,
არ გამიმართლოს ცხოვრებაში არცერთმა წამმა...

თუ ფიქრადა გაქვს, საუკუნოდ მიმასამარო,
აღარ ვიხილო დღე კაშკაშა მთელი სამყარო...

მაშ დროზე ქენი, გახსენ ჩემთვის ზეცის კარები,
ო, ჩემი სულის ანგელოზო, გემუდარები...

ჩამოიღვენთა, ჩამოიწვა ჩემს წინ სანთელი,
სიბნელემ შთანთქა, წარიტაცა ირგვლივ ნათელი...

1997 წელი.

კაცობრიობის გადასარჩენად

ცხოვრება რთულია, ბრძოლა სჭირდება,
ბრძოლის დროს დარდები საოცრად მცირდება...

მერე მხნეობა გვემატება, გული ნავარდობს,
ფერმკრთალი ზეცაც ჩვენი ცქერით მართლა ლაჟვარდობს...

მოდით, ერთმანეთს მოვეფეროთ, მივცეთ მხნეობა,
რომ არ დავკარგოთ ჩვენი მრწამსი, ჩვენი მეობა...

დიდმა, პატარამ, ერმა თუ ბერმა,
ქართველმა, ოსმა სულის ნათებით
ამოვიკითხოთ ერთმანეთის გულის ნადები...

მაშინ არც შურის, მტრობის ომების
აღარ ვიქნებით არვინ მდომები...

კაცობრიობის გადასარჩენად,
ბედნიერების გადასარჩენად
ჩამოვიღვენთოთ წმინდა სანთლებად...

1997 წელი.

***

ვერ დავივიწყებ მე იმ წუთებს შენ რომ მაჩუქე,
ჩემს ცხოვრებაში წამიერად გამოაშუქე...

შემდეგ კი ისევ, ამ ცხოვრებას ლანდად იქეცი,
ღამის ნახული სიზმარივით შორს გამექეცი...

გულს დაუტოვე სიყვარული, სევდა, ტკივილი,
ხშირად ამიტომ უსასრულოდ მინდა კივილი...

ხშირად ამიტომ უსასრულოდ მინდა ტირილი,
ხშირად ამიტომ უსასრულოდ მინდა სიცილი...

ამოუცნობზე, უთქმელზე და გაუგონარზე,
მიტომ, რომ წლები გვიშენდება მონაგონარზე...

სევდა, ტკივილი, იშვიათად მხოლოდ სიცილი,
მიტომ თამაშობს ჩვენს სახეზე ყალბი ღიმილი.

2011 წელი.

***

ფიროსმანივით როცა მოვკვდები
შენ, საქართველოვ, ქებას მოჰყვები...

მაშინ არ მინდა ხოტბათა შესხმა,
უკიდეგანო მწვერვალზე შესმა...

მე სიცოცხლეში მჭირდება შველა
და სიცოცხლეში მჭირდება ფრენა...

2008 წელი.

***

ამ ცხოვრებამ სასწაულად
მეც დამასვა დაღი გულს;
როგორ უნდა გავუმკლავდეთ
ამ ჩვენს ყოფას ტრაგიკულს?..
ვინ მოგვიტანს მალამოს,
სად ვიშოვით წამალს?
როდის ავაფრიალებთ
ქართვლის დიად ალამს?..

2012 წელი.

***

მგონია, ახლა დავიბადე,
გარდავისახე...
მგონი შემნიშნეს, შემამჩნიეს,
გადამარჩინეს,
გადაარჩინეს ჩემი სული
დასამარებას...

2012 წელი.

***

რა ლამაზია სიტყვა „ნეტა“,
ამ სიტყვით რამდენი რამე გამოითქმის...
მე ამ სიტყვაში გულის ძგერას ვგრძნობ,
მე ამ სიტყვაში სულის ფეთქვას ვგრძნობ,
მეც ვამბობ „ნეტავ“:
ამ ქვეყანაზე ყველა სულდგმულის მეგზური
ბედნიერების ღიმილი იყოს...

2013 წელი.

***

სასაცილოა წუთისოფელი,
სასაცილოა ფიქრი ყოველი...

ჩემთვის ცხოვრება, არ ვიცი, კარგო,
რატომ აღმოჩნდა დიდი ზღაპარი,
რატომ გამწირა ბედმა უმიზნოდ,
რატომ ჩამიქრო ყველა ლამპარი...
არ ვიცი, მაინც სადამდე ვზიდო
ეს საშინელი მძიმე ჭაპანი?

ბედნიერება, აზრი ყოველის,
რად არის ჩემთვის მიუწვდომელი?..

2006 წელი.

***

უიმედობა, დარდი, ტკივილი,
მომწყინდა უკვე ბედზე ჩივილი...

უსიხარულო დღეები ბევრი —
მხოლოდ წუხილი, სევდა და ცრემლი...

ცხოვრების გზებზე მხოლოდ ეკლები,
ყოველდღრიური დარდის შემკრები...

ღმერთო, მიშველე, მომეცი ძალა
და სიხარული ციცქნა და მომცრო,
ხომ შეიძლება ნატვრის ახდენით
ამ ცხოვრებაში მეც გამაოცო?..

2013 წელი.

***

მე ხომ იმისთვის დავიბადე,
რომ მოგეფეროთ,
გესიყვარულოთ, გაგაოცოთ,
გაგანებივროთ...
იქნებ იმისთვის, ქართველებო,
შეგინარჩუნოთ ჩვენი ენა და
ჩვენი მრწამსი, ჩვენი მეობა,
რომ არ დავკარგოთ ჩვენი
დიდი სარწმუნოება,
რომ თქვენს გულებში
კვლავ ავანთო სითბო ულევი,
სიყვარული და გამტანობა, —
ოცნებები აუსრულები...

2012 წელი.

გფარავდეთ წმინდა ბარბარე

გვფარავდეს წმინდა ბარბარეს მადლი,
გვცოდნოდეს ყველას სიკეთის ყადრი...
თავს დაგვეფრქვევა სიწმინდის შუქი,
გაიფანტება ფერები მუქი...
ყველას მოგვიცავს მისი ნათელი,
გაძლიერდება ყველა ქართველი...
ამ დიდებულ დღეს მოგიალერსებთ,
მადლობა უფალს, რომ იარსებებთ...
ბარბარეს მადლი გფარავდეთ, ხალხო,
ყოფილიყავით უფალთან ახლო...

2012 წელი.

***

მინდა, დავწერო ჩემი დღიური,
ყოველი წამი იყოს ღვთიური...

მე იმ ადგილას მგონი მივედი,
რომ ჩაისახა სულში იმედი...

იმედი დღის და იმედი ხვალის,
კვლავ დამიბრუნდა მე ჩინი თვალის...

ახლა კი ვიტყვი, ვიყავ, ვიცხოვრე,
რა ლამაზია თურმე სიცოცხლე...

2012 წელი.

გაიხურე კარი

დიდი ხანია, ვდგავარ მიწაზე,
მაგრამ უფალი გვიან ვიწამე...

გვიან მივღოღდი მის კარიბჭესთან,
მარტოს მინდოდა ჯდომა საჭესთან...

მაგრამ არასდროს არ არის გვიან,
აღარც უაზრო ფიქრები მღლიან...

წინ წავიმძღვარო, მსურს, რწმენის ქარი
და მივუხურო ბოროტებს კარი...

2012 წელი.

***

დაბადებიდან მქონდა მიზანი,
მე ჩემი თავი დღესღა ვიცანი...

დღესღა შევიგრძნე ოცნება ლაღი,
ჩემს სულს რომ ჰქონდა სიშავის დაღი...
ახლა გამოჩნდა შორეთში თაღი,
როგორ ბიბინებს ყვავილთა ბაღი...

ჩემი მიზანი ახდომას ლამობს
და ჩემი სულიც კვლავ ისე ლაღობს...

ვიპოვი ადგილს, ვიტყვი, ვინა ვარ
და თვით მივხვდები, რომ მე შინა ვარ...

აღარ გავივლი ამ გზას ეული,
მწველი ფიქრებით მიმობნეული...

თამამად ვიტყვი, რომ მე ვიცხოვრე,
რომ მართლა ღირდა ჩემი სიცოცხლე...

2012 წელი.

მითხარი რამე

ჩემი ბაგე რომ იცინის,
მითხარ, გული რად ტირის?
სიყვარულის ნეტარება,
არ ყოფილა ადვილი...

ონავარი, ცელქი გოგო,
მითხარ! რად შეიცვალა?
სიყვარულს რომ ასწავლიდი,
ჩანს, რომ ვერ შეისწავლა...

ასე მწარედ რომ ვისჯები,
ალბათ, ბედის ბრალია,
მაგრამ უფრო დამნაშავე
ერთი ციცქნა ქალია...

1991 წელი.

დაბადება და სიკვდილი...

ქვეყნად ვიღაცა დაიბადა
და... ვიღაცა გარდაიცვალა...
ვიღაცა თოფს ცლის,
ბიჭი გაჩნდაო...
ვიღაც ქვითინებს:
— აღესრულაო...
მდიდარი-ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, —
განუზომლად და განურჩევლად...
უფალმა იცის და უფლისვე ნება ყოფილა:
ვის და როდის ელის სიკვდილი ან დაბადება, —
როდის ვიგლოვებთ,
ანდა როდის ვიმხიარულებთ...

2012 წელი.

ნატვრის დღე

ყოველ წელიწადს ერთი ოცნება გვაქვს:
იმ დღეს, იმ წამს და განსაზღვრულ დროს
ოცნებები მოგვეძალება:
და ეს წუთები სასწაულია;
რომ ყველა ნატვრა ასრულდება,
ოდესმე ვარამი დასრულდება...
მე ყველას ნატვრას გავედრებ, უფალო,
ამ ჯადოსნურ დღეს შენდობა უთხრა
და აგვსრულებოდეს ოცნებები,
უფალო, ყოვლის შემძლევ, გემუდარები...

2012 წელი.

ოცნებებს ჩამოგირიგებთ

ამ ბოლო დროს ოცნებები
მაწყნარებს და მამაშვიდებს
და ამ ქვეყნად არაფერი,
არაფერი მაშინებს...

ოცნებებით გავიზრდები, —
მე არა მაქვს სხვა მიზნები...

ოცნებებით გავფრინდები,
მოვწყვეტ ცაში ყვავილებს
და ცხოვრების დარდს და სევდას
გულში აღარ გავივლებ!..

2013 წელი.

***

დაღამდა, სიბნელემ მოიცვა ყოველი,
ირგვლივ კი სიმყუდროვე გამეფდა.
მდუმარე ქვეყანა ჰგავდა ადამიანს,
მძინარეს, გადაღლილს და შარბათიანს,
ციდან კი ვარსკვლავები სანთლებად იღვენთება
და ჩვენთვის ლოცულობს კეთილი ანგელოზი.
მდუმარე ქვეყანა ჰგავდა ადამიანს,
მძინარეს, გადაღლილს, შარბათიანს...
და პირჯვარს ისახავდა კეთილი ანგელოზი,
ჩვენთვის ლოცულობდა, უფალს ავედრებდა
ჩვენს ლამაზ, ოცნებად ქცეულ ქვეყანას...

2013 წელი.

***

აღარ მინდა უიმედოდ ცხოვრება,
არც ცხოვრების მძიმე ტვირთის გორება...
მე სიმშვიდე ისე მომნატრებია,
ავი თვალიც ბევრჯერ მომკარებია...
ჩვენთვის შუქი, ნეტავ როდის იალებს,
ვინ მოუვლის ჩვენი სულის იარებს?
ვინ მოიცლის დაცემული ხალხისთვის,
ვინ იბრძოლებს სიკეთისთვის, კარგისთვის?
ვინ აგვინთებს უკვე ჩამქრალ სინათლეს,
ვინ აგვიხდენს ქვეყნად რასაც ვინატრებთ?..

2012 წელი.

ჩემს შვილებს

ჩემო გიორგი, დავით და ლუკა,
თქვენ მომანიჭეთ ახალი სუნთქვა...
თქვენ გამინათეთ ქვეყნად გზა ვრცელი,
მე სხვა სიხარულს არ ვცნობ, არც ველი...
მაგრამ მე ერთი ფიქრი მადარდებს,
ძილს და სიმშვიდეს რომ არ მაკარებს, —
ვერ შეგიქმენით ღირსი ცხოვრება
და ეს ყოველთვის მემახსოვრება...
მხოლოდ სიცოცხლე უფლით გიბოძეთ,
მაგრამ მიყვარხართ, მინდა, იცოდეთ...

2012 წელი.

დედ-მამას

ამ ბოლო დროს გული უჩვეულოდ მიძგერს,
სიხარული, სევდა, ერთად მოდის ჩემთან,
როცა ჩემს დედ-მამას ვხედავ
ცაში ლაღად ვფრინავ,
სიხარულის ნაზი განცდა
მეუფლება უმალ,
მაგრამ სევდაც არ აყოვნებს
მინდა, იყოს სიზმარი,
ჩემი მშობლების ჭაღარამ
გული მართლაც დაღარა...
ო, გთხოვ, გემუდარები,
ყოვლის შემძლე ღმერთო,
კიდევ დიდხანს მიცოცხლე
თმაჭაღარა დედიკო და
ჩემი ტკბილი მამიკო.

2012 წელი.

ჩემს მეგობრებს

ამ ქვეყნად ყველაზე დიდი განძია,
გულში მოგიზგიზე ცეცხლიც კი ანთია,
არც დაიხარჯება და არც გაცვდება
და ეს სიმდიდრე მრავალსაც გასწვდება.
აი, ასეთია კარგი მეგობრობა,
აი, ასე ჩნდება სულის ბობოქრობა...
კარგი მეგობარი ძნელი საპოვნია,
როგორც ლუკმა-პური რთული საშოვნია;
ყველა შეჭირვება მის ზურგზე გადადის,
ერთურთის გატანა ზღვარსაც კი გადადის...
ღმერთო, გამიმრავლე და ბედი მიეცი...
ნამდვილი მეგობრები, ჩვენი მეგობრები.

2012 წელი.

***

მშვიდობა შინა და გარეთ
ეს არის სუფრის ლაზათი,
ამიტომ შევინარჩუნოთ
ჩვენი წესი და ადათი...
რადგან მშვიდობის გარეშე
ჰაერსაც ვერ შეისუნთქავ,
ვერც ჭიქას ასწევ, ძმობილო
და ვერც ჰარალეს იმღერებ...
სუფრის გაშლა და, კი არა,
ხმიადი მოგენატრება,
ამიტომ ყველას ვალია,
შევინარჩუნოთ მშვიდობა
და ჩვენი დროშა ნათელი
მწვერვალზე ავაფრიალოთ...

2013 წელი.

პატარეგს

ადრე უნდა ადგეთ დილით,
რომ შეიგრძნოთ თქვენი თვალით
ამა ქვეყნის სილამაზე, —
საქართველოს მომავალი...
დილის სიო დაუბერავს,
გამხნევდებით, გაკაჟდებით,
გოგონებო, დამშვენდებით,
გაიზრდებით ვაჟკაცები...
დილით ადრე წამოდექით,
შეხვდით აისს, მზის ამოსვლას,
რომ იხილოთ თქვენი თვალით
მზე მთებს შუქით როგორ მოსავს...

2012 წელი.

ახალი წელი

მალე ჩამოჰკრავს საათს თორმეტი,
მოგვიკაკუნებს ახალი წელი,
ახდენილიყოს მეტი და მეტი,
ყველას ოცნება, სურვილი წრფელი...
ძველს გავატანოთ სევდა, ვარამი,
სიღარიბე და სულის ტკივილი
და ჩემო კარგო, ჩვენი წამალი
დღეს აღმაფრენის იყოს კივილი...
მალე ჩამოჰკრავს თორმეტი საათს,
მოგვიკაკუნებს წელი ახალი,
თოვლის ბაბუა მოიცვამს ხალათს,
ავუფრიალოთ თეთრი ალამი...
ჩამოარიგებს მერე ტკბილეულს,
კამფეტებსა და უხვად ხილეულს...

2012 წელი.

***

მაინც ვერ ვამბობ
სათქმელს ბოლომდე,
ვგრძნობ, სნეული ვარ,
არაფრის შემძლე...
რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე?
— მხოლოდ შვილები მაჩუქე, ღმერთო,
მაგრამ უძლურმა როგორ გავზარდო?
როგორ აღვზარდო? რა ჩავუნერგო?
ან იმედები რით გავუღვივო?..
ლიტონი სიტყვით კლდე აღმართულა,
დედათა ჯარი მოილტვის აქეთ
და ყველას სენი ერთია, ხალხო!
რითი გავზარდო? როგორ აღვზარდო?
სულით სნეულმა,
ხორცით უძლურმა...

2013 წელი.

***

რაც დავიბადე, უკვე ბევრი წელი გავიდა,
დღე-დღეს მისდევდა,
მეც ნელ-ნელა ვფურცლიდი დღეებს...
ვისწავლე ბევრი, ბევრსაც მივხვდი;
ეკლიან გზაზე უნდა იარო,
თავს რომ დაგედგას ოქროს გვირგვინი,
მაგრამ, ძალიან გვიან მივხვდი,
რომ არსებობდა უკურნებელი,
მოუთმენი სულის ტკივილი...

2013 წელი.

მთვარიანი ღამე

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა
და მთვარიანი ღამე,
მე დიდ ზღაპარს მაგონებს...
მინდა, ისევ ბავშვი ვიყო,
რომ ღრუბლებში ვიფრინო,
ყოველ ღამე მონუსხულმა
მთვარეს ისევ ვუცქირო,
მასში გამოსახულ კაცს კი
ჩუმად გავესაუბრო...

2013 წელი.

***

მაღლა ციდან დაგვკაშკაშებს
მზე ბრდღვიალა, ბრწყინალი,
მისი მზერა ყველას გვათბობს
მუდამ პირმომცინარი...
მას ვერავინ ქვეყანაზე
ვერსად დაემალება,
ცდილობს, ყველას უწილადოს
სითბო — ციურ ალებად...
მაგრამ, როცა დაისვენებს
და ვეღარსად ვერ ვხედავთ
ვნატრობთ, მალე დაგვიბრუნდეს
სინათლედ და იმედად...

2013 წელი.

ჩემო ქვეყანავ

ბალახებით მოქარგული მინდორი
გამახსენდა, მე რატომღაც, დიდგორი...
ოჰ, როგორი ტანჯული ხარ,
ჩემო კარგო ქვეყანავ,
მაგრამ შენი სილამაზე
კვლავაც შემოგრჩენია,
შენ, უფლისგან ნაბოძები
სინარნარით ჰყვავიხარ...
მთა-გორები, თუ ტყე-ველი,
ტბა, მდინარე თუ ზღვები...
უფალს მოუხატიხარ,
ჩემო კარგო ქვეყანავ...

2013 წელი

***

ეს ქვეყანა რომ ლამაზია,
ეს უკვე ვიცით, მაგრამ
სასწაულთა შორის სასწაულია...
ბევრ სინამდვილესთან ერთად
ხშირად ზღაპრებიც ხდება...
საოცარია უკიდეგანო ცაც,
მიუწვდომელი მყინვარი,
დაბლა მიწა და ზღვა...

2013 წელი.

***

როგორ მინდა ცაში ფრენა,
გამაგონა ბულბულთ ენა,
რომ მომავლის მქონდეს რწმენა
და ვარდების იყოს ცვენა...
რომ, ოდესმე ყველა, ერთად
გამოვადგეთ ერთურთს ღმერთად...
მოფერებით, გამხნევებით
ჩვენ სუყველა ერთად ვიყოთ
ლაღები და ლამაზები...

2013 წელი.

სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ,
უკვე რამდენი წელიწადია,
ხალხის სიკეთე და სიხარული
და აღზევება შენი მწადია...
ვიცი, რომ მოვა ის დრო, როდესაც
მზე კვლავ დაიწყებს შენთვის ნათებას
და რაც კი გქონდა გზებზე უკუნი
იმ მზის სხივებზე გაიფანტება...

2013 წელი.

***

მე მხოლოდ ლექსი მასულდგმულებს,
მიყვარს ცის ნამი...
როდესაც ლექსს ვწერ
უსასრულოდ გრძელდება წამი...
ვწყდები სამყაროს
და ვეხვევი ლაბირინთებში,
მერე კი ლექსად, სიყვარულად ვინთები...

2013 წელი.

***

ქრისტიანული ნათლობა
სულებს გვიწმედს და გვლოცავს
და საოცარი სიწმიდით გვმოსავს...
ნათლისკენ აგვახედებს,
მომავლისკენ გაგვახედებს
და ნათლისღების საოცარ დღეს
ყველას ვუსურვებ სულის გაწმედას,
რათა უფალი მალე შეგეცნოთ,
რომ ნათლისღების ნათლის
შუქმა ყველა თქვენგანში
შემოაღწიოს...

2013 წელი.

***

გაზაფხულის მახარობელია მარტი,
ამ თვეს ენძელა და ია ამშვენებს,
ენძელას და იას ოქროს გვირგვინია
ქალი, კაცებო, და გაუფრთხილდით...
მოეფერეთ, მიუალერსეთ,
გაანებივრეთ ქალები, კაცებო!
თუ არ შეგიძლიათ ეს
ყოველდღე აკეთოთ, მაშინ გთხოვთ,
ეს ერთი დღე მაინც
გაანებივროთ ქალები, კაცებო!
და ეს რვა მარტის დღე
ყველა ქალს აღმაფრენად
უქციეთ, კაცებო...

2013 წელი.

ჩემი სოფელი

სადაც ვიშვი და ფეხი ავიდგი
და სადაც მზრდიდა დედა მშობელი,
სწორედ იქ არის ჩემი სოფელი...
იქ ამოვიდგი ენაც პირველად,
ვისწავლე ანი, ვისწავლე ბანი
და იქ გამითბა გულიც პირველად...
იქ გადავცურე ოცნების ზღვები,
სილამაზეც კი იქ შევიგრძენი
და ჩემი სოფლის სიყვარულისგან
ვისწავლე მართლაც მე სიყვარული...
ღმერთო, შემოგთხოვ, რომ ჩემს ჩუმლაყში
მრავალმა ბავშვმა აიდგას ფეხი,
რომ ყველას გულში ჩაუქრობელად
იგიზგიზოს თავისი სოფლის სიყვარულმა.

2013 წელი.

კაცებო!

ლექსი ლამაზი თუ გაგიგიათ?
სწორედ ასეთი მინდა დავწერო,
რადგანაც ვისაც მოვეფერები
ის ლამაზია, ნაზი არსება
და მისი გული უამრავს იტევს,
სითბოს, სიყვარულს გამაოგნებელს...
თუ გაუჭირდა ნაზი ქმნილება
უმალ იქცევა მძვინვარე მხეცად,
ჭირსაც დაითმენს, მტერს ეკვეთება,
თუ დასჭირდება მთებსაც კი შესძრავს...
მაშ გაუფრთხილდით მუდამ, კაცებო,
რომ არ აქციოთ მხეცად ქალები...

2013 წელი.

***

ო, რა კარგია ლამაზი ფიქრები,
ოცნებით შორეულ ბილიკს რომ მიჰყვები...
მიჰყვები და თან ასე გგონია,
რომ ყველაფერი მონაგონია...
და ჩემი თავიც ამ ცხოვრების
მონა მგონია, —
ლამაზი ცხოვრება
არც ისე შორია...
ო, რა კარგია, რა ლამაზია
ლამაზი ფიქრები,
შორეულ ბილიკს რომ ოცნებით მიჰყვები...

2013 წელი.

შენ, სიყვარულო!

უხილავი ხარ, თვალი ვერ გხედავს,
მაგრამ ამ გულთა მბრძანებელი ხარ...
ქვეყნად უშენოდ ვერავინ ვერ ძლებს
და ყველას უნდა,
გაანებივრო, გაახალისო,
რომ ქუფრ ღრუბლებშიც
იფრინონ ლაღად...
შენ ყველას გულის მბრძანებელი ხარ,
შენ, სიყვარულო, თვით აღმაფრენავ!..

2013 წელი.

ოცნების გზაზე

თუ არა გაქვს სიყვარული,
აღარა გაქვს სიხარული,
არც ღიმილის, არც ოცნების სურვილი...
სიყვარული ქროდა, სიყვარული წვიმდა,
გვასულდგმულებს სიყვარული წმინდა.
და იები უსასრულოდ თოვდა ციდან.
მოიპოვეთ, მოიპოვეთ სიყვარული,
რომ ულევი ყოფილიყოს სიხარული...
უსიყვარულოდ არ იცხოვროთ არც ერთი წამი,
პრობლემებზე კი არ შეიკრათ კოპი და წარბი...
სიმტკიცით წადი, სიმტკიცით წადი
ოცნების გზაზე,
რომ მუდამ იყო შენ ჩვეულ აზრზე,
მტკიცეთ იარე ოცნების გზაზე.

2013 წელი.

ეს ჩემი ლექსი

თვალუწვდენ მყინვარს რომ გაალღობს,
ქვითკირით ნაშენსაც დაალბობს,
სწორედ ასეთად დაიბადება,
ამ ქვეყანაში აისახება
ჩემში ნაშენი ეს ჩემი ლექსი,
წამოვა როგორც წვიმა და თქეში,
მოგეფერებათ, მოგიალერსებთ,
მადლობას იტყვით, რომ იარსებეთ.
კიდევ მოხაზავს ჩემი კალამი,
აფრიალდება ქართვლის ალამი,
დაიბადება ეს ჩემი ლექსი,
წამოვა, როგორც წვიმა და თქეში,
არვის დატოვებს, ყველას მოივლის
და დროც უაზროდ აღარ გაივლის...
მოგეფერებათ, მოგიალერსებთ
გაგეხარდებათ, რომ იარსებეთ...

2013 წელი.

ბაჭია

სკუპი, სკუპი, ბაჭია,
რა ციცქნა ხარ, პაწია...
ცელქი მოუსვენარი,
გასაქცევად მზად არი.
ძლიერ უყვარს სტაფილო,
არ ჰყოფნის ათი კილო,
მთელი დღე ახრამუნებს,
არ დაუთმობს თაგუნებს...
სკუპი, სკუპი, ბაჭია,
ციცქნაა და პაწია.

2013 წელი.

***

შეხეთ, მოვიდა გაზაფხული, —
ყვავილთა ცვენა,
თან მოგვიტანა სიხარული,
სითბო და რწმენა.
და იფურჩნება კოკორივით
გულში იმედი,
გაზაფხულივით ნაზ ფერებით,
მოციმციმეთი...
მწამს აღსრულდება იმედთა გროვა,
კვლავ უსასრულოდ გაგრძელდება
ყვავილთა თოვა...

2013 წელი.

საქართველო აღარ დავაჩოქოთ

ჩემს საქართველოს არ აკლია სევდა, ვარამი,
სწორედ ამიტომ ხელთ მიჭირავს ახლა კალამი...
დაფიქრდით, ხალხო! საიდან გაქვთ ამდენი ღვარძლი?
ბოროტს და კეთილს ერთურთისგან მე ველარ ვაცლი.
რა დროს ჩხუბია, ან ქილიკი, რას შვრებით, ხალხო?
ამას სჯობია, რომ შევიგრძნოთ უფალი ახლო!
მოყვასს ვეფეროთ და გავუთბოთ ერთურთს გულები,
რომ სიხარული, სიყვარული გვქონდეს ულევი...

2013 წელი.

***

ზოგჯერ, ნაღმივით აფეთქდება ცხოვრება ჩვენი,
წამოიყივლებს, გაიღვიძებს, მძინარე გენი...
და აღზევებას იწყებს ჩვენში ძალა მეორე,
რადგან, ოდესღაც იგი იყო თურმე მეურმე...
მართლაც, ნაღმივით აფეთქდება მძინარე სისხლი,
აბა მოთქმასა და გოდებას რა თავში იხლი?
გამოიყენე, გაუძეხი ნიჭს და აღზევდი,
ფიქრით მწვერვალებს უბრკოლველად შენ ხომ აღწევდი?
მაგრამ იცოდე, უკან მოხედვა არ დაგავიწყდეს...

2013 წელი.

***

უკვე აღარ ვიცი, სხვა რა დამრჩენია,
გულში უამრავი დარდი გამჩენია...
ნატვრები ბავშვობაში ამხდენია,
დღეს კი... იმედები წამხდენია...

2013 წელი.

***

საქართველოში იმედები, მგონი, სულს ღაფავს,
ვიღაცა დადის, უმოწყალოდ ნორჩ ნერგებს კაფავს...
თვალს არ ახამხამებს გულს ისე გვიჩეხავს
და მე აღარ ვიცი, ამ სასაკლაოს თუ ვინმე მიხედავს...
არავინ კითხულობს, თუ გყოფნის ჰაერი,
ანდა როგორ ცხოვრობს ჩვენს ირგვლივ სხვა ერი...

2013 წელი.

***

ცისფერი ზღვა და ცისფერი თვალები,
მე სიყვარულის ფერხულში ჩავები,
თითქოს უხილავ ჯაჭვით დავები,
მართლა ვერ მივხვდი, ამ ხაფანგში
როგორ გავები...

2013 წელი.

***

მოგონებები მწარე თუ ტკბილი
სულზე გვაჩნია
და თითქოს, ხალხო,
ამის მეტი
არც არაფერი არ გაგვაჩნია...

2013 წელი.

***

ვარ პატარა გოგო,
გაგახაროთ მინდა,
დამარიგეთ როგორ?
სურვილი მაქვს წმინდა...
ამ პატარა ხელებით
ყველას მოგეფერებით...

2013 წელი.

***

საშინელებაა ერთფეროვნება,
თითქოს სიკვდილი თვალებში გიცქერის
და გული კანკალებს, სხეული ცახცახებს,
თვალებზე ლიბრი გეკვრება
და აღარას ხედავ,
მხოლოდ ერთ ადგილს
გულმოკლული, უაზროდ ხეხავ...

2013 წელი.

***

რა ციცქნაა მურია?
ხშირად წყალი სწყურია,
ეშინია კატის,
გალურსული დადის...

2013 წელი.

***

რამდენიც უნდა ეცადო,
ვინმეს ზურგს ამოეფარო,
გჯეროდეს, რომ ვერასოდეს
შენს თავს ვერ დაემალები
და შენს შეცდომებს
ვერასდროს, ვერასდროს
ვერ გაექცევი...

2013 წელი.

ცისარტყელა

როგორც სარტყელი,
შემორტყმია ცას ცისარტყელა,
მოუხატია მრავალფერად
ცის არემარე.
სხვა სილამაზეს ვერ ინატრებ,
სხვა საოცრებას ვერ იხილავ,
ისე ლამაზად შემორტყმია
ცას ცისარტყელა,
მოუხატია მრავალფერად
ცის არემარე.

2013 წელი

***

როგორ მიჯაჭვულა სნეული საწოლზე,
როგორ დაჰკარგვია ფერი,
თითქოს ციხეშია, ბორკილის გარეშე,
სენი კი გისოსებს ჰგავს...
წამლები ცდილობენ სენი შეარყიონ,
ექიმი სამართალს იცავს...
ვერსად გაიქცევი, ვერსად წაიქცევი,
ეს რა უცნაური ტყუპებია, —
ციხე და საავადმყოფო...

2013 წელი.

***

ჩემო სამშობლოვ!
და ჩემო ხალხო!
ჩემო მშობლებო!
დებო და ძმებო!
ჩემო შვილებო, არ სადარებო!
თქვენ, მეგობრებო, განუყოფელნო!
სისხლით და ხორცით ნათესავებო!
თვით, მეზობლებო, მყარად მდგომელნო!
მსურს სიყვარული გაგინაწილოთ
და ჩემი ლექსით კვლავ მოგეფეროთ,
ჩემი სიტყვებით გული გაგითბოთ
და გულში ცეცხლი მოგიზგიზე ისევ აგინთოთ...

2013 წელი.

არ გადავშენდეთ!

ამასაც მოვესწარით, ჩემო ხალხო!
არავინ არა გვყავს ახლო...
სული გადაგვითელეს
და იმედები ჩაგვიკლეს...
უკვე, აღარ ვიცით,
ყოველი დღე ვიბრძვით,
ვიბრძვით, რომ ვისუნთქოთ
და არ დავიჩოქოთ...
ანდა, სადამდე ვიბორიალებთ,
ასე, უგზო-უკვლოდ ვიწოწიალებთ?
იქნებ ერთმანეთს გზა გავუკვალოთ,
რომ არ გადავშენდეთ უკვალოდ...

2013 წელი.

ჩემო სოფელო

ბარაქალა შენ, ჩემო
მრავლის მთქმელო სოფელო!
მოხატულო მთა-ველო!
ქალაქის საძირკველო,
ბებერო და ძირძველო!
შენს გარეშე, სოფელო,
თვით, შენ წუთისოფელო,
სულიერი გაქრება,
ყოვლის შემძლე წახდება
და სოფელის გარეშე
ჰაერიც კი გაქრება...

2013 წელი.

***

საშინელი სამსჯავროა ციხე,
ამ დროს მტერიც კი უნდა დალოცო,
რომ გაუნათოს გონება ღმერთმა,
რომ არ აღმოხდეს კვნესა.
რომ დაიშალოს ციხის კედელი
და გისოსები დადნეს...
მათი გულები გალღვეს
და ბოროტება გაქრეს,
რომ კვლავ სიკეთე აღდგეს
და ციხე ტაძრად იქცეს...

2013 წელი.

***

გაზაფხული მოვიდა,
ჩუმად შემოიპარა
და მწვანე მოსასხამი
ტანზე შემოიფარა...
ფრინველები დაბრუნდნენ,
საოცარი ჟღურტულით
გააცოცხლეს ბუნება...

2013 წელი.

***

ეს დღეც ისევ მიილია,
მიილია წუთი, წამი,
ყოველი დღის დასასრული
ჩვენ უფალთან გვაახლოებს,
ყოველი დღის დასასრული
არის ჩვენი აღსასრული...

2013 წელი.

***

რა საოცრად ჭკვიანია მამალი,
როგორ დასდევს,
დედლებს, როგორ იცავს,
ვით ჯელტმენი მამაკაცი ქალბატონებს
აარიდებს ყოველივე ავს,
მამალი კი დედლებს,
მედიდურათ გააყოლებს თვალს...

2013 წელი.

მურია

ჩემი კარგი მურია,
მგონი, წყალი სწყურია.
შია, წკმუის,
წკმუტუნებს,
კატასავით კრუტუნებს.
დედა თუ მოუნდება
საცოდავად წკმუტუნებს...

2013 წელი.

მთაწმინდავ!

მინდა, რომ შენ მოგეფერო,
მთაწმინდავ, ჩაძინებულო,
დიდი სულების სავანევ,
შენ, საქართველოს განძო...
მკერდზე მიგიკრავს, ათბობ,
მათ გაყინულ გულებს ალღობ...
დიდი სულების სავანევ!
მთაწმინდავ, ჩაძინებულო,
სანამ ვიცოცხლებ,
მოგეფერები შენ!..

2013 წელი.

ციცინათელები

ღამის წყვდიადს ანათებენ
ციცქნა ციცინათელები,
ისე უმწეოებია და წერტილის ოდენები,
თითქოს ჩუმად ჩურჩულებენ,
ერთგულ მეგობრებსა ჰგვანან,
მომავლის გზას გვიჩვენებენ,
რომ შეცდომა ავირიდოთ...
ანათებენ, არ ქრებიან,
მათი ციცქნა გულები კი
ჩვენი სიყვარულით ფეთქავს...

2013 წელი.

***

ხომ ლამაზია ყველა ქალი?
თვითეულს თავის ხიბლი აქვს,
მაგრამ ენაც კი ვერ აღწერს,
ნამდვილი სილამაზე
და სინაზე ნამდვილ ქალობის
ფეხმძიმე ქალია...
ვერავინ შემედავება,
ის ჩვენი ქვეყნის თვალია...

2013 წელი.

***

ჩემო ქალაქო, არ ვიცი,
არ ვიცი, რას შეგადარო,
ისე მიყვარხარ, რომ შენი
სიტურფის-სინარნარისთვის
მთებსაც გადავდგამ
და შევძრავ უკიდეგანო მწვერვალებს...
ჩემო ქალაქო, ჩემი ხატი ხარ!
და თვითეულის სალოცავი ხარ...

2013 წელი.

უშვილო ქალებს

როდესაც, ღმერთო, დამბადე ქალად,
გამალამაზე ტანად თუ თვალად,
ჯვარიც დამსახე, როგორ მეცხოვრა,
გამინაწილე ნატვრა თუ ოხვრა...
სიხარული და ცრემლების გროვა,
არც სიყვარულის დამაკელ თოვა...
ქმარი, მშობლები, დები და ძმები,
მყავს უანგარო მე მეგობრები...
მაგრამ, მე მაინც დარდით ვარ სავსე,
რატომ გამწირე, უფალო, ასე?
რად არ მაჩუქე პატარა ჩვილი?
რომ მეც ჩამეკრა ამ გულში შვილი,
ჩემთვისაც ეთქვა — მიყვარხარ, დედა
და არ მქონოდა ეს დიდი სევდა...

2013 წელი.

***

წუხელ სიზმარში ის ვიყავი
მე ვინც მინდოდა,
ვისზეც ყოველთვის ვოცნებობდი,
ლეგენდებს ვთხზავდი.
წუხელ სიზმარში მე ამიხდა ყველა ოცნება
და გაოცდებით, მე ამითაც
დამიჯერეთ, რომ უზომოდ ბედნიერი ვარ...
რადგან, ოდესმე, ცხოვრებაში ერთხელ,
თუნდაც სიზმარში, მე ის ვიყავი —
— მე ვინც მინდოდა...
და მე ამიხდა ყველა ოცნება,
თუნდაც სიზმარში...
ხომ მაინც ახდა?!.

2013 წელი.

***

უფალმა შექმნა სამყარო,
ყველასთვის, გასაგებია,
გასაგებია ისიც, თუ
რატომ ვატარებთ მძიმე ტვირთს...
ადამის და ევას შეცდომა
დღემდე ვერ გამოვისყიდეთ,
ამიტომ გულით შემოგთხოვთ,
ამ მიწის ყველა სულიერს!
ავაღორძინოთ სამოთხე,
რომ დაიხუნძლოს ვაშლებით,
უფალს ვუცქიროთ თვალებში,
გვქონდეს ერთურთის გატანა,
მტერი გვიყვარდეს, შევუნდოთ,
მოყვარეს, თავისთავადა...
ასე თუ ავაღორძინებთ
სამოთხეს, სამოთხის ვაშლებს,
ასე თუ დაუმკვიდრდება
ჩვენს სულებს სასუფეველი...

2013 წელი.

ძველი თბილისი

რა ლამაზია ძველი თბილისი,
მისი ქუჩები, ნაიარები
და როგორც გინდა უგულო იყო
მისი შეხედვა გულს აგიჩქარებს,
გადაეშვები მოგონებებში
და ამ ძველისძველ სილამაზესთან
წმინდა ცხოვრებაც თავს მოგვაგონებს,
თავს მოგვაგონებს, თავს მოგვანატრებს
მამა-პაპური უბიწოება,
მამა-პაპური ერთგულება
და ეს სიწმინდე, ეს სილამაზე
ამ ძველ თბილისში ჩაძინებული
მიმობნეულა...

2013 წელი.

***

ბედნიერია ის, ვინც
მიხვდება, როცა დამნაშავეა,
ვისაც სინდისი აწუხებს
და ვისაც გული სტკივა,
ვისაც ბოდიშის მოხდისთვის
ფერი არ დაუკარგავს,
ვისაც შეცდომის გულისთვის
გონება დაუკარგავს...
სინდისი ჩვენი ფარია
და მას ნუ მოვიცილებთ,
საკუთარი თავის კი
არასდროს შეგვრცხვენოდეს...

2013 წელი.

***

ერთ მშვენიერ დღეს
აუცილებლად გაგვითენდება
ჩვენ მშვიდი დილა;
ერთ მშვენიერ დღეს,
აუცილებლად, გაოცებები
გაგვიღებს კარს
და კვლავ ახდება
ყველა მოკვდავის
ჩაძინებული ოცნებებიც კი...
დამიჯერეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს
ეს ყველაფერი მართლა ახდება...

2013 წელი.

***

ეს სამყარო დახუნძლულა ცოდვებით,
ბევრი დადის მოთქმითა და გოდებით,
ვერც კი მივხვდით, ასე როგორ დავეცით,
ერთმანეთი უგულოდ რომ გავეცით...
გვეშინოდეს ამ ცოდვებით ცხოვრება,
ჩვენ მოგვიწევს მძიმე ტვირთის გორება...
ნუ დავკარგავთ ჭკუასა და გონებას,
ეს ცხოვრება აღარ განმეორდება...
მოვეფეროთ, მოვეფეროთ ერთმანეთს,
გავუფრთხილდეთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს
და მივაღწევთ ჩვენ ზეციურ სამყაროს,
რომ უფალმა ეს ცოდვები გვაკმაროს...

2013 წელი.

წმინდაო, მარიამ

ჩვენი ცხოვრება გაელვებული წამია,
დაგვიცავი და დაგვიფარე, დედაო მარიამ...
მოგვეცი ძალა სიყვარულის და ერთგულების,
სიკეთის კეთების, ბოროტთან კვეთების.
წმინდაო მარიამ, შენ გაგვაძლიერე,
ჩვენი დედამიწა კვლავ გააფხვიერე...
მტერი და მოყვარე სუყველა დალოცე
და სასწაულებით ისევ გაგვაოცე...
წმინდაო მარიამ, დედაო ღვთისმშობელო,
ამერისა და იმერის მშობელო,
გვიშველე, დაგვიფარე,
ამ დაღლილ სამყაროს ფარად აეფარე...

2013 წელი.

***

არ მინდა, ვიყო არარაობა,
არ მინდა, შვილებს გული ვატკინო,
არ მინდა, სული დავიმახინჯო,
არ მინდა მხოლოდ ოცნებით რბოლა,
მაგრამ უძლური დავბადებულვარ,
მე ვერ მოვერგე ჩემს ალაგს მყარად,
ვერ ვუწილადებ ჩემს შვილებს ძალას,
ვეღარც მალამო მოვაცხე მათ გულს...
ვხედავ, ინგრევა თითქოს სამყარო,
რომ გვიწერია გადაშენება,
რომ აღარ შეგვრჩა ძალა არავის...
არ დაემხობა ქართველი, არა,
რაც უნდა გვემო, სისხლი ადინო,
რადგან იესო კვლავაც აღსდგება,
მოგვევლინება კაცად ან ქალად,
ანდა საერთოდ უსუსურ ბავშვად
და განურჩევლად მტრის და მოყვასის
ყველას გვიშველის...
არ დავიჩოქოთ, არ დავიჩოქოთ
ფეხზე წამოვდგეთ,
რადგან დედებად დავბადებულვართ,
რადგან ბიჭები მამად ქცეულხართ...

2013 წელი.

ჩემი ქვეყანა კვლავ გაბრწყინდება

უიმედობა, დარდი, ტკივილი
ხშირად გვიხდება ბედზე ჩივილი
ამ დროს გმირებად გადავიქცევით,
დაცემულებიც არ წავიქცევით...
და ქართველების მაგიურ ძალას
ყველა იხილავს ცად აწვდილ ალამს.
და როს იმედი ფერფლად იქცევა,
ცრემლი ღვარცოფად გადაიქცევა.
მტერს თავზარს დაცემს,
გულს ლახვარს ჩასცემს,
განადგურება ირგვლივ ბოროტი,
შემოაბიჯებს ჩვენში რობოტი, —
სიკეთისა და სითბოს მფრქვეველი...
ჩემი ერისგან მჯერა, მოველი,
რომ გაბრწყინდება ირგვლივ ყოველი,
შეიმოსება მწვანედ მთა-ველი
და ერთი მუჭა ჩვენი ქვეყანა,
გესმოდეს დავით, თამარ და ანა,
აღარასოდეს არ წაიქცევა,
ბედნიერების კერად იქცევა.

2013 წელი.

დაგვიფარე, ღმერთო

გულში დაჭრილა ჩემი ქვეყნის მრავალი შვილი,
ატირებულა გულსაკლავად უმწეო ჩვილი...
ვაი, სულს ღაფავს მშიერი ხალხი,
ჩამონგრეულა დარდისგან სახლი.
მძლეველთა გული ქანდაკებად გადაქცეულა,
მათი სინდისი უგზოუკვლოდ შორს გაქცეულა.
ვინ? სად ვიკითხოთ, განმკითხავი,
ან სად ვიპოვოთ მცნებების წამკითხავი?..
სად, სად ვპოვოთ სამართალი,
რით გავარჩიოთ მტყუან-მართალი?
ისევ შენ, შენ, ერთადერთო,
შემოგვეშველე, დაგვიფარე, მაღალო ღმერთო.

2013 წელი.

მე ჩემი კალმით მოგეფერებით

მე ავმღერდები ღვთიური ძალით,
გულში ჩავიკრავ თვითეულ თქვენგანს,
მე შემოგხედავთ მაგიურ თვალით,
თქვენთან ვიქნები ყოველთვის, ყველგან...
მე ჩემი კალმით მოგეფერებით
და ჩემი სიტყვით გაგანებივრებთ...
მე ავფრინდები მაგ თქვენი ფრთებით
და ყოველ თქვენგანს ჩამოგირიგებთ
ბედნიერებას, სიყვარულს, სითბოს
და ოცნებების ახდენილ თოვას,
გზას სიკეთისკენ მე ყველა მითმობს,
მალე იხილავთ საოცარ გროვას:
ნატვრის, ოცნების, სიხარულის, ბედნიერების
და ჩემი კალმით მოგეფერებით.

2013 წელი.

ვინა ვარ?

ფრთა მოტეხილი დავიარები,
გულიც მაქვს დიდად ნაიარევი,
ვარ პაწაწინა, ციცქნა, უმწეო,
მიინავლება ეს დღეც უმზეო.
უხვად თოვს დარდი,
დამჭკნარა ვარდი
და ჯერ არ ვიცი, ვინ ვარ, რა მინდა?
როგორ ვიპოვო მე „ყველა-წმინდა“?
ვგრძნობ რომ მარტო ვარ,
შიშისგან ვრთთოლვარ,
ჩემო სამშობლო, დიდების ღირსო,
შენთვის ცხოვრება ნამდვილად ღირსო,
ნუ მიმატოვებ, გულში ჩამიკარ
და მომავლისკენ ხელი წამიკარ,
შენ, ჩემი გულის უსასრულო სალოცავი ხარ
და თვითეულის ერთადერთი საფიცარი ხარ.

2013 წელი.

ბები

ეს ლამაზი თოჯინა
ბებიამ რომ მიყიდა,
სახელი აქვს ჯინა,
არის ერთი ციდა.
ეს თოჯინა პაწია
ჩემთვის მოურთმევიათ,
ლამაზი და კოპწია
კაბაც ჩაუცმევიათ.
ბები, როცა გავიზრდები
გაგახარებ მეც,
სუყველაფერს გეფიცები
დაგიმოწმებს მზეც.

2012 წელი.

კაცებს

და თუ, კაცად დაიბადე
ყველაფერი აქ მთავრდება...
აქ იწყება ის გრძელი გზა
კაცურად რომ გასახელებს:
— იმიტომ რომ შენ კაცი ხარ,
მაგარი და ჟილკიანი...
იმიტომ რომ შენ კაცი ხარ,
შენ კაცი ხარ და
სათქმელად ესეც კმარა...
შენ ხომ კაცად დაიბადე?
შენ მიიღე უკვე ჯილდო
იმიტომ რომ, მაგ კაცობით
გააოცებ შენ სამყაროს.

2012 წელი.

სარჩევი

ჩემო დიდო სიხარულო..... 3
მძიმე ჭაპანი 4
სოფლის გვირგვინი..... 5
*** რეკავს სამრეკლო ბედნიერების..... 6
ფოთოლი..... 7
ზამთრის ძახილი..... 8
*** ოქრო და ვერცხლი თასებით გადმომაყარეს თავზე..... 9
მოდის ახალი წელი 10
რიმა ბერიძეს..... 11
ჩემო საქართველო..... 12
დედა ენავ!!!..... 13
*** შენ გყვარებია თურმე სხვა გოგო..... 13
*** თვალები? თვალებსაც გააჩნია..... 14
*** ჩემი ოცნება, იცი, რა არის 14
*** მზეჭაბუკი ხარ? არა, კიდევ უკეთესი ხარ..... 15
*** ო, როგორ მინდა, შენს მკლავებში მიძინებულმა 15
*** არ მინდა, ვწერო დღეს პოემები 16
ციფრი ლეგენდა 17
გამოსათხოვარი..... 18
დედას 19
*** ახალი წელია, ახალი წელია 20
*** ქარი დაბერავს, გაძარცვავს ხეებს 21
დედას 22
*** დედაო მიწავ 23
*** დიდი მადლობა იმ წუთებისთვის..... 24
*** ოხ, რა ძნელია, როდესაც..... 24
*** ღმერთო ჩემო, რად დამბადე..... 25
*** როდემდე ვიყო ოცნებებთან მიუწვდომელი 25
*** ჩემი ოცნების უფლისწულო, დაიგვიანე..... 26
ილიას..... 27
*** კაცობრიობის ცხოვრებაში ბევრია რწმენა..... 28
*** შემომთავაზეთ ერთი სავსე ყანწით სასმელი 29
*** ო, როგორ მინდა, ვიყო რჩეული 30

*** მე არ ვარ მთვრალი 30
*** მივდევ ცხოვრების დინებას 31
ილიას 31
*** მინდა, დავწერო, რაც ჯერ არსად არა წერია 32
*** დღესაც მოთმენა, ხვალაც მოთმენა 33
*** თუ ცოდვა მაქვს, მაპატიე ღმერთო 34
ჩემს უახლოეს მეგობარს 35
დაგლოცავთ, მოქეიფენო 36
წვიმა 37
*** ჩემი კალამი რას ქადაგებს, ვისთვის რას იტყვის 38
*** ეკლესიაში შევალ, სანთლებს ავანთებ 39
*** რაო, რა გინდა, ტარტაროზო, რას მემართლები 40
*** ამბობენ, დღეს ყოველი მეორე წერს 40
*** ო, როგორ მინდა, სიყვარული ყველას გვეწვიოს 41
*** როგორ მინდა, თვალი რომ გავახილო 41
*** ბედის კაროსელი თავისით ტრიალებს 42
ფურცლებს ვესაუბრები 43
ღმერთების დედა 44
გაქრა ნათელი 45
კაცობრიობის გადასარჩენად 46
*** ვერ დავივიწყებ მე იმ წუთებს შენ რომ მაჩუქე 47
*** ფიროსმანივით როცა მოვკვდები 48
*** ამ ცხოვრებამ სასწაულად 48
*** მგონია, ახლა დავიბადე 49
*** რა ლამაზია სიტყვა „ნეტა“ 49
*** სასაცილოა წუთისოფელი 50
*** უიმედობა, დარდი, ტკივილი 51
*** მე ხომ იმისთვის დავიბადე 52
გფარავდეთ წმინდა ბარბარე 53
*** მინდა, დავწერო ჩემი დღიური 54
გაიხურე კარი 55
*** დაბადებიდან მქონდა მიზანი 56
მითხარი რამე 57
დაბადება და სიკვდილი... 58
ნატვრის დღე 59

ოცნებებს ჩამოგირიგებთ 60
*** დაღამდა, სიბნელემ მოიცვა ყოველი 61
*** აღარ მინდა უიმედოდ ცხოვრება 62
ჩემს შვილებს 63
დედ-მამას 64
ჩემს მეგობრებს 65
*** მშვიდობა შინა და გარეთ 66
პატარებს 67
ახალი წელი 68
*** მაინც ვერ ვამბობ 69
*** რაც დავიბადე, უკვე ბევრი წელი გავიდა 70
მთვარიანი ღამე 71
*** მაღლა ციდან დაგვკაშკაშებს 72
ჩემო ქვეყანავ 73
*** ეს ქვეყანა რომ ლამაზია 74
*** როგორ მინდა ცაში ფრენა 74
სამშობლოს 75
*** მე მხოლოდ ლექსი მასულდგმულებს 75
*** ქრისტიანული ნათლობა 76
*** გაზაფხულის მახარობელია მარტი 77
ჩემი სოფელი 78
კაცებო! 79
*** ო, რა კარგია ლამაზი ფიქრები 80
შენ, სიყვარულო! 81
ოცნების გზაზე 82
ეს ჩემი ლექსი 83
ბაჭია 84
*** შეხეთ, მოვიდა გაზაფხული 85
საქართველო აღარ დავაჩოქოთ 86
*** ზოგჯერ, ნაღმივით აფეთქდება ცხოვრება ჩვენი 87
*** უკვე აღარ ვიცი, სხვა რა დამრჩენია 88
*** საქართველოში იმედები, მგონი, სულს ღაფავს 88
*** ცისფერი ზღვა და ცისფერი თვალები 89
*** მოგონებები მწარე თუ ტკბილი 89
*** ვარ პატარა გოგო 90

*** საშინელებაა ერთფეროვნება 90
*** რა ციცქნაა მურია 91
*** რამდენიც უნდა ეცადო..... 91
ცისარტყელა 92
*** როგორ მიჯაჭვულა სნეული საწოლზე..... 93
*** ჩემო სამშობლოვ..... 94
არ გადავშენდეთ! 95
ჩემო სოფელო 96
*** საშინელი სამსჯავროა ციხე..... 97
*** გაზაფხული მოვიდა 98
*** ეს დღეც ისევ მიილია 98
*** რა საოცრად ჭკვიანია მამალი 99
მურია 99
მთაწმინდავ! 100
ციცინათელები 101
*** ხომ ლამაზია ყველა ქალი 102
*** ჩემო ქალაქო, არ ვიცი..... 103
უშვილო ქალებს..... 104
*** წუხელ სიზმარში ის ვიყავი..... 105
*** უფალმა შექმნა სამყარო..... 106
ძველი თბილისი 107
*** ბედნიერია ის, ვინც 108
*** ერთ მშვენიერ დღეს 109
*** ეს სამყარო დახუნძლულა ცოდვებით 110
წმინდაო, მარიამ 111
***არ მინდა, ვიყო არარაობა..... 112
ჩემი ქვეყანა კვლავ გაბრწყინდება 113
დაგვიფარე ღმერთო 114
მე ჩემი კალმით მოგეფერებით..... 115
ვინა ვარ? 116
ბები..... 117
კაცებს..... 118

***

ჩემი კალამი რას ქადაგებს, ვისთვის რას იტყვის?!
ზოგი სათქმელი არ ითქმება, ზოგი კი ითქმის...

იქნებ ზოგს ტუჩზე დამცინავი ღიმილი უთრთის,
იქნებ ზოგს თვალზე მგძნობიარე ცრემლებიც უკრთის...

დაე, ცხოვრებამ შეაფასოს ჩემი ქმნილება,
უმანკო სულის ეს პირველი შთაბეჭდილება...

ჩემი კალამი რას ქადაგებს, ვისთვის რას იტყვის,
თვის ადგილს ეძებს, თვის გამგონეს, საქმით და სიტყვით...

ქეთი ბერიძეშვილი

9 789941 063664 >